წელიწადი მეორე | ფასი 7 კაპ. | კვირა, 6 მარტი 1916 წ. | № 52

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**


კვირას, 6-ს მარტს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი

## „დროების“

**გარდაცვალებული რედაქტორების, გამომცემლების და თანამშრომლების სულის მოსახსენებლად.** პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე.

---

სალომე გაბრიელის ასული, ელისაბედ გაბრიელის ასული ქვრივი ნასყიდაშვილისა შვილებით და დავით ალექსის ძე დავითაშვილი სახლობით ამით აუწყებენ ნათესავთა და მახლობელთ, რომ 4 ამა მარტს ღამით გარდაიცვალა დაუვიწყარი მეუღლე პირველისა, სიძე მეორისა და ქვისლი მესამისა

## კარლ ედუარდის ძე
## კარსტენსი

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე; გამოსვენება და დაკრძალვა სამშაბათს 8 მარტს, 12 საათზე, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ. თამარის ქუჩა. № 22. (1—121—1)

---

# თბილისის
## ქალაქის გამგეობა
### იუწყება, რომ ხმოსანთა არჩევნები
### მომავალ ოთხი წლისთვის 1916—1920 წლ.
## დანიშნულია:

1) **20 მარტს** **პირველ საარჩევნო უბნისა** ქალაქის შრომის ბირჟის სადგომში (ვერის დაღმართი).

**მეორე საარჩევნო უბნისა** ქალაქის საბჭოს დარბაზში (ერევნის მოედანი, შესასვლელი ველიამინოვის ქუჩიდან).

**მესამე საარჩევნო უბნისა** ქალაქის სახელ[illegible] სასწავლებლის დარბაზში (ექსარხოსის მოედანი).

2) **27 მარტს** **მეოთხე საარჩევნო უბნისა** არაქსიანისეულ თეატრში (ავლაბარი)

**მეხუთე საარჩევნო უბნისა** თბილისის საკომერციო სასწავლებლის დარბაზში (ნიკოლოზის ქუჩა).

**მეექვსე საარჩევნო უბნისა**—ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლში (კიროჩნის ქუჩა).

**მეშვიდე საარჩევნო უბნისა**—ქალაქის სასწავლებელში ნაძალადევში (ნაძალადევი, სახლი ბოტტესი).

### საარჩევნო ბილეთების მიღება

საარჩევნო კრებაზე შესასვლელად შეუძლიანთ მიიღონ ქალაქის გამგეობის კანცელარიის 1 განყოფილებაში (სერგიევის ქუჩა, სახლი № 4) ხმოსანთა არჩევნების დროებითს ბინაზე, ყოველდღე, კვირა-უქმე დღესაც დილის 10—2 საათამდე.

ბილეთების მისაღებად ამომრჩევლები პირადათ უნდა გამოცხადნენ. არჩევნების დღეს ბილეთებს მისცემენ დილის 9 საათიდან საარჩევნო კრების ბინაზე.

ვისაც საარჩევნო უფლებით სარგებლობა შეუძლიან რწმუნებულობით ან სხვათა მინდობილობით, ან როგორც აპეკუნს თუ წარმომადგენელს, მათ კეთილ ინებონ და სათანადო საბუთის ქაღალდები ადრევე წარმოადგინონ ასეთ წარმომადგენელთა სიის შესადგენად.

გამგეობის წევრი **ათაბეგოვი.**

---

## ახალი კლუბი

**კვირას 13 მარტს** 12 საათზე სიტყვაკაზმულ საზოგად. საბჭოს თაოსნობით **გაიმართება** **დილა**

**სანდრო შანშიაშვილი** **წაიკითხავს** თავის ახალ ნაწარმოებს

## „ბერდო ზმანია“

**დასურათებულს მხატვარ ვალ. სიდამონ ერისთავის მიერ.**

სურათებს თვით ავტორი ეკრანზე (ბუნდოვან სურათებად) მსმენელთ უჩვენებს.

ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

**წევრნი ქართულ სიტყვა კაზმულ საზოგადოებისა დილაზე შესასვლელ ფასს არ იხდიან.** დილის გამგე—**ქართ.-სიტყვა კაზმული საზოგადოების საბჭო.**

---

## ხარფუხის საზოგადო კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ კვირას, 13 მარტს, დილის 11 საათზედ კლუბის სადგომში (მიხეილის პროსპექტი № 131) დანიშნულია წლიური **კ რ ე ბ ა.** განსახილველი საქმეები: 1) მოხსენება მამასახლისთა საბჭოსი კლუბის საქმეების შესახებ, 2) ანგარიში 1915 წ., 3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა და 4) მამასახლისთა და მათ კანდიდატთა, სარევიზიო კომისიისა და კლუბის წევრების არჩევნები, და სხვა კითხვები. 1—16—1)

---


**ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**


---

### ქ. ბაქოში
## ღვინით ვაჭრობა
## „მელაანი“
### თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები**

(112—წ.)

---

## შეშის საწყობი
### ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**

### საკუთარი ტყიდან

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

---

### საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
## ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**

**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**

(101—წ.)

---

### საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
### ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

---

## ახალი კლუბი

**ერთი კვირის პროგრამა 7—13 მარტამდის.**

**ორშაბათი**—სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი.

**სამშაბათი**—შეერთებული საოპერო წარმოდგენა. მონაწილეობას იღებენ ცნობილი იტალიელი მომღერალი ქალი **კარმენ სოლიარი** და საიმპერატორო ოპერის არტისტათ ნამყოფი **ბერნარდი.**

**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი.

**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა. სამხედრო მუსიკა.

**პარასკევი**—ქართული დრამატიული საზოგ. საღამო.

**შაბათი** —

**კვირა** — თბილისის მართლმადიდებელ სემინარიის მოწაფეების სასულიერო კონცერტი.

**დასაწყისი:** კონცერტებისა საღამოს 9 საათზე, წარმოდგენებისა და სინემატოგრაფებისა საღ. 8 საათზე.

კლუბში შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს, იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. მამაკაცისა 1—05 კ.

---

## ამიერ კავკასიის საოლქო სამხედრო სამრეწველო კომიტეტის საწყობი

მოთავსებული ელისაბედის ქუჩაზე № 127 და 164 სახლებში (ინჟენერ ი. ს. პონდოევის საწყობში) თებერვლის 25-დან, თავდაცვის საჭიროებით გამოწვეულ სამუშაოსათვის აწვდის მსურველთ ყოველგვარ რკინეულობას და სხვა საამშენებლო მასალას განსაკუთრებულ ხელშეკრულობით დადებულ ფასებში. ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ კანტორას: Тифлисъ контора механическаго отдѣла, Елисаветинская ул. № 184.

(10—120—1)

---

## სასტუმრო „ავრორა“

**ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.**

**უაღრესი სიფაქიზე.** **ელექტრონის განათება**

**ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად**

ნომრები ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებშია.

**თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.**

### სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

**თბილისი,** მიხეილის ქუჩა № 5. **ტელეფონი 12—85.**

(წ.—)

---

## ქართული კლუბის დარბაზში
### სემინარიის ქართველ მგალობელთა გუნდისაგან

**კვირას, 13 მარტს, 1916 წ.**

ამავე სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ ი. კარგარეთლის ხელმძღვანელობით გაიმართება

## სასულიერო კონცერტი

ბილეთების ფასი 50 კ.—2 მ. 20 კ. იყიდება ქართულ კლუბში.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. (0)

---

### ქართველ ქალთა ამხანაგობის
## საზოგადო კრება

**დანიშნულია კვირას, 6 მარტს 12 საათზე საზოგადოების ჭრა-კერვის სადგომში გაბაანთ ქუჩა № 3.**

**კრების განსახილველია შემდეგი საგნები:** 1) შემოსავალ-გასავლის დამტკიცება 1914 წ. ენკენ. 1915 წ. ენკენისთვემდე. 2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1915 წ. ენკენ. 1916 წ. ენკენისთვემდე. 3) საზოგადოების გამგეობის 3 წევრის არჩევა, სარევიზიო კომისიის 2 წევრის და არჩევა ქალთა ამხანაგობის წევრებისა. ქართულ კულტურულ კავშირში მონაწილეობის მისაღებად და სხ. მიმდინარე საქმეებისა.

(3—3)

---

## სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)

**ორშაბათს 7 მარტს 1916 წ.**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ტრაღედია ვ. შექსპირისა

## ო თ ე ლ ო

ტრაღ. 5 მოქ. და 9 სურ. თარ. ივ. მაჩაბლისა.

ოტელოს როლს შეასრულებს ალ. **იმედაშვილი.**

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ., გუნია ვალერიან, გომელაური ზ., იმედაშვილი ალ. იმხნელი გიორგი, თარალაშვილი ი., მამფორია ილ. ჟივიძე იოს., სარაული მ. ვარვარიძე ვ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პ., ჩაგუნავა ნ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.**

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.

მორიგი წევრი გამგეობისა: **ი. გედევანიშვილი.**

**ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 მან. 50 კ.-დე".**

(3—64—3)

---

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

---

**ექიმი-დოსტაქარი**

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

---

## ექიმი მ. გ. ვეფხაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

20—67—1

---

## ვასწავლი

ქართულ **„სიმღერა-გალობას“** და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს, დიდ და მუდმივ სახალხო გუნდისათვის. მიღება და ჩაწერა

**მიხეილ კავსაძესთან**

(ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლა.—ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკეობ. საღ. 6-9-დე).

**ვასწავლი მუშა ხალხსაც.**

---

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

**—პროვიზორის ახვლედიანისა—**

---

**ე ქ ი მ ი**

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი,** 4 მარტი. **ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი.** ჩვენი არტილერია მარჯვედ ესვრის მტრის პოზიციებს ილლუქსტის სამხრეთ-აღმოსავლეთით. დვინსკთან გავფანტეთ მტრის რაზმები, რომელნიც სოფ. გორბუნოვკას სამხრეთ-დასავლეთით მოდიოდნენ.

**კავკასიის ასპარეზი.** აზრუმის დასავლეთით 90 ვერსის მანძილზე ავიღეთ ქ. მამახათენი. მთელი ამ ბრძოლის განმავლობაში დავლად დაგვრჩა 5 ზარბაზანი, ტყვიისმფრქვეველები და ტყვეები 770 ასკერი და 44 აფიცერი.

**პარიზი,** 3 მარტი. ოფიციალი. ვერდენის ჩრდილოეთით მთელს ღამის განმავლობაში ქვეითი ჯარს იერიშები აღარ მოუტანია. მაასის მარცხენა ნაპირზე მხოლოდ სუსტი საარტილერიო ბრძოლა იყო. უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო ბრძოლამ მაასის მარჯვენა ნაპირზე. გოლ-რომონ-დამლუს რაიონში ჩვენმა არტილერიამ მკაცრი სროლა აუტეხა გერმანელებს დუომონის დასავლეთით, სადაც იგინი მიწურ სიმაგრეებს აკეთებდნენ. ვევრში სროლაა. ვოგეზებში გერმანელებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ თხრილების პირველ რიგსაც ვერ მიახწიეს, რომ უკუგდებულ იქმნენ.

**პარიზი,** 3 მარტი. საღამოთი მოსული ცნობა. მდ. ენის ჩრდილოეთით ჩვენმა არტილერიამ ენერგიული პასუხი გასცა მტრის ზარბაზნებს. მაასის დასავლეთით გერმანელებმა ფრიად მძაფრ საარტილერიო სროლის შემდეგ იერიში მიიტანეს ბეტანკურის ფრონტზე მორტომთან, მაგრამ მოიერიშეთა ტალღა ვერსად შეჩერდა, უკუგდებულ იქმნა კორბოს ტყისაკენ, სადაც დიდი ზარალი მივაყენეთ ზარბაზნის ტყვიით. მაასის მარჯვენა ნაპირზე არტილერია გაორკეცებული ძალით მოქმედებდა, ასეთივე სროლა იყო ვოს გარშემო და დუომონის აღმოსავლეთით.

**რომი,** 3 მარტი. ლაგარინოს ღელეში, აგრეთვე ასტიკოს ზემოდ საარტილერიო სროლა იყო. მდ. იზონცოსთან ბუროსი უშლიდა საარტილერიო სროლას. ღამით 2 მარტს, ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ მტერმა ორჯერ მოიტანა იერიში, მაგრამ ორჯელვე უკუგდებულ იქმნა. ველი მოფენილია გვამებით. გათენებისას ბრძოლა გამკცრდა გაორკეცებულის ენერგიით, მაგრამ პოზიციებიდან მაინც ვერ დაგვძრეს. დანარჩენ ფრონტზე ხელით სასროლ ყუმბარებით იბრძოდნენ.

**პარიზი,** 3 მარტი. სამხედრო მინისტრი გალიანი ავადმყოფობისა გამო გადაყენებულ იქმნა. მის მაგიერ აირჩიეს გენერალი როკი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუსეთის ასპარეზი**

კ. შუმსკის აზრით ვერდენთან ბრძოლა გადამწყვეტი ბრძოლის დასაწყისი არ არის. გადამწყვეტი ბრძოლა რუსეთის ასპარეზზე მოხდება. თუმცა აქ დიდი რამ ბრძოლა ამ ჟამად არა სწარმოებს, მაგრამ მზვერავი რაზმები გაფაციცებით მუშაობენ. გერმანელებმა კოლკის სამხრეთ-აღმოსავლეთით უკვე დაიწყეს მოქმედება წინასწარ დაზვერვის მოუხდენლად. აქ მოქმედობს გენერალ ლიცინგერის ავსტრიელთა და გერმანელთა ჯარი. გერმანელებს ჩვეულებად აქვთ, როდესაც ორივე ფრთით მოპირდაპირის შემოვლას აპირებს, ჯარის პირას შუა ნაწილში მთლად მიყუჩდება, ასეთი სიყუჩეა ეხლა პინსკის ჭაობებთან და ბუკოვინაში, რუმინეთის საზღვრებთან. ცხადია, სამოქმედო ასპარეზად არჩეული აქვთ ვილნო-ლიდას ხაზი, დვინსკისა და პინსკის ჭაობების შუა მიდამო, პინსკის ჭაობების სამხრეთით (ვოლინთან) და გალიცია. პინსკის ჭაობები გერმანელთა სტრატეგიისათვის იგივეა, რაც პარიზის სიმაგრეები მარიამობისთვეში შეტევის დროს იყო. გერმანელები განგებ არიან პინსკის მიდამოებში მიყუჩებულნი, არ უნდათ მოპირდაპირის გულისყური ამ მხარეს მიაქციონ, რადგანაც ეს არის მათი მოქმედების დედაგული, სადაც შეუჩერებლივ მაგრდებიან და მკვიდრად იკიდებენ ფეხს.

**ენვერ-ფაშა და ჯემალ-ფაშა.**

სტამბოლიდან იტყობინებიან: ენვერ-ფაშამ და ჯემალ-ფაშამ იერუსალიმში წმინდა ადგილები დაათვალიერეს. მათ მიეგება საბერძნეთის პატრიარქი და სხვა ქრისტიანების წარმომადგენელნი. აქედან პალესტინასა და სირიაში გაემგზავრნენ.

**წყალქვეშა ნავები.**

გერმანეთის წყალქვეშა ნავებმა ნებართვა მიიღეს, ნეიტრალ სახელმწიფოთა გემებსაც ნუ დაინდობენ.

**გერმანეთი და ამერიკა.**

„ფრ. ცატ.“-ი სწერს: გერმანელ საზღვაო აფიცერთა აზრით, გერმანეთისათვის უფრო ხელსაყრელია, თუ ამერიკა მასთან კავშირს გასწყვეტს. ეს ომის დასრულებას დააჩქარებდა და უსათუოდ გერმანელთა სასარგებლოდ. ამერიკასთან კავშირის გაწყვეტა ხელფეხს გაგვიხსნისო და საზღვაო ბრძოლას ისეთისავე დაუნდობლობით ვაწარმოებთ როგორც ხმელეთზე. მაშინ დაუყოვნებლივ გამოვაცხადებდით ინგლისისა და ირლანდიის გარემოცვას და არ დავინდობდით არც ერთს გემს, ვისი ბაირაღითაც უნდა ყოფილიყო, თუ კი ინგლისის ნავთსადგურებისაკენ იბრუნებდა პირს.

**ოსმალეთის სულთანი ავსტრიაში.**

„ნ. ფრ. პრეს.“-ი გადმოგვცემს: ოსმალეთის სულთანმა ფრანც-იოსებს აღუთქვა, ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულებულ ომიანობის შემდეგ შევბურინის სასახლეში გეწვევიო.

## ბრძოლის ველზე

როგორც მოსალოდნელი იყო, ვერდენთან ერთი დღით შეჩერებული ბრძოლა ისევ უნდა განახლებულიყო. განახლდა კიდეც და საშინელის სიმძაფრით! ბრძოლის ობიექტი უმთავრესად ამ იერიშების დროს იყო ბეტანკურის ფრონტი, მორტომის პოზიციები, სადაც ბრძოლა წინა დღეებში შმაგ სახით სწარმოებდა, გერმანელებმა მოახერხეს სანგართა რამდენიმე წყების წართმევა. მაგრამ ფრანგებს, ეტყობა, მაშველი ჯარები მოსვლიათ, რომ არა თუ დაიბრუნეს დაკარგული ადგილები, არამედ მეორე ხელ მტრის გაავთრებული იერიშები გასტეხეს და კორბოს ტყეში გადაჰრეკეს. ჯერ-ჯეროძით ამით დამთავრდა ბრძოლის ეს საშინელი ეპიზოდი, თუმცა ეს არ ნიშნავს გერმანელთა სრულს გატეხას, ვინაიდან მაშველი ჯარი ბლომად მოსდით. უნდა ვიფიქროთ, რომ მორიგ საკითხთა შორის ისევ ბელანკურის მტკიცე პოზიციები იქნება. გერმანელთათვის ამ პოზიციის აღება აუცილებელია, თუ სურთ ვერდენის ოპერაცია სასურველად იქმნეს დამთავრებული.

X.

**თბილისი, 6 მარტი.**

—·—

**კომერციულ და ტეხნიკურ ცოდნით აღჭურვილთ.**

ჩვენი ერის ეკონომიური უძლურება ყველასთვის ნათელი უნდა იყოს. იმაზედ მეტი ქონებრივი დაქვეითება, რომელსაც ჩვენი ქვეყანა განიცდის, ძნელი წარმოსადგენია. ქართველი ერი პერიოდულად იმშევა მაშინ, როდესაც ჩვენს სამშობლოზე ნოყიერი და ნაყოფიერი ქვეყანა ძვირად თუ სადმე მოიპოვება. საქართველოს ფარგლებში ვერ ვამზადებთ და უცხოეთიდან ვეზიდებით ისეთს ჩვენთვის საჭირო ნივთებს, რის დამუშავება ყოველ სოფელში მოხერხდება. ყოველივე, რაც ჩვენ ტანზე გვაცვია თუ გვახურავს, სხვისი ხელობაა. საქართველო კი უხვია თავისი ბუნებრივი სიმდიდრით. მრავალ-გვარი მინერალი სიმდიდრე, მკვდარი და ცოცხალი ბუნების უხვი ნაყოფი და ყოველივე ეს უძრავად, ჩვენთვის უსარგებლოდ ძევს, ქართველი ხალხი-კი ღატაკია, ის ნახევრად დამშეულია. ჩვენ ყოველთვის თავის გასამართლებელ საბუთს ვპოულობთ, მაგრამ აქ ძნელია სხვა რაიმე მიზეზის გამონახვა, გარდა ჩვენი უგნურებისა, ჩვენი აზროვნების დამახინჯებისა.

ჯერ ჩვენ ისიც ვერ შეგვიგნია, რომ ქონებრივად დაქვეითებულ, დამშეულ ერს სიტყვები და ოცნებები-კი არ შველის, არამედ ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება. ამისთვის-კი საჭიროა მეურნეობის, ვაჭრობა-მრეწველობის გარშემო ეროვნული ძალების ამოძრავება და ამოქმედება. ქართველი ერი უნდა შეუდგეს ჩუმ და მყუდრო ეკონომიურ საქმიანობას ამ ასპარეზზედ. თუ ჩვენ შესაფერ სიმტკიცეს გამოვიჩენთ, ძვირად თუ რაიმე სხვა მნიშვნელოვანი დაბრკოლება გადაგველობება წინ.

და როდესაც ქართველი ერი ქონებრივად მოღონიერდება, ის ამით ეროვნულ სულის, ეროვნულ შემოქმედების ასაყვავებლად მტკიცე და ურყეველ საძირკველს მოიპოვებს. განა ვინმესთვის საეჭვო უნდა იყოს, რომ ეკონომიურად დაქვეითებული ერი კულტურულ შემოქმედებაშიდაც უძლური და სუსტი იქნება? დროა დავსძრათ მიძინებული ჩვენი ძალები და ჩვენს ცხოვრებაში ეკონომიური საქმიანობის სული შევქმნათ.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უნდა გადადგან იმან ვინც ტეხნიკურ და კომერციულ ასპარეზზედ მოღვაწეობენ. ეკონომიურ საქმიანობას უპირველეს ყოვლისა ეს ორი პროფესია ემსახურება და ჩვენ ტეხნიკ-კომერსანტებს ამ პირველ სიტყვის თქმა მართებთ. ჩვენს ქვეყანაში არც ისე ცოტაა ტეხნიკურ-კომერციულ ცოდნით აღჭურვილი პირები. ბევრი მათგანი თავის პროფესიას ემსახურება, ბევრი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს გარეშეა დარჩენილი. საჭიროა ამოქმედება, მუშაობის დაწყება. სუსტად, პირველ ხანში იქნებ უნაყოფოდაც, მაგრამ მაინც უნდა გავბედოთ პირველი ნაბიჯის გადადგა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების სამოქმედო ასპარეზი ხომ თითქმის მთლად ცარიელია და აქ მიზანშეწონილი, ეროვნული თვალთ საზრისით გაშუქებული ეკონომიური მოღვაწეობა ხომ სულ არ სწარმოებს.

თქვენ სიტყვას ელოდებიან. თქვენი ცოდნა და გამოცდილება, საჭირო არის რომ საერთო ძალღონით შეუდგეთ ქართველი ერის ყოველმხრივი გაძლიერების საქმეს.

———

**სამრეწველო კომიტეტები.** პეტროგრადში სრულიად რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების ყრილობა გაიხსნა. მრეწველთა წარმომადგენლების ყურადღება მიიქცია იმ მოვლენამ, რომ ყრილობის გახსნას არც ერთი მინისტრი არ დასწრებია. ეს უთუოდ ისე იქმნა გაგებული, როგორც მთავრობის მხრივ მრეწველთა მუშაობის ცუდად დაფასება და წარმოთქმულ სიტყვებში ორატორები ხაზს უსვამდენ იმ მეტად მძიმე პირობებს, რომელშიაც მთავრობამ ჩააყენა სამრეწველო კომიტეტების მუშაობა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა თ-დ ლვოვის, ქალაქთა კავშირის თავმჯდომარის სიტყვა. ჩვენ ორნაირი სამოქმედო ასპარეზი გვაქვსო, სთქვა მანო. პირველი—საქმიანობის და მოქმედების, იქ ჩვენ მხედრობის გვერდით და ამ საქმისთვის ჩვენს ძალას არ ვიშურებთო; ამ საერთო მოქმედებაში ჩვენსა და ჯარს შორის სრული თანხმობა და კეთილი განწყობილება სუფევსო. მეორე ასპარეზი—აქ, შინ, სადაც არ არის მტერი, მაგრამ ჩვენი მუშაობა მუდამ ბრძოლაში სწარმოებს და აქ ჩვენ მტრებით ვართ შემორტყმულიო. თვითეული ჩვენი ნაბიჯი აქ საეჭვოდ არის მიჩნეული, ყოველ ჩვენ საქმეს აქ ეწინააღმდეგებიანო. სხვა ორატორების სიტყვებში უფრო ვრცლად აღნიშნეს ყველა ის დაბრკოლებები, რომელნიც სამხედრო კომიტეტების მუშაობას ხელს უშლიდენ. რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, აქაც თავს იჩენს რუსეთის სრული ეკონომიური მოუწყობლობა. საომარ მასალების დასამზადებლად ახალი წარმოებების შექმნა ასეთს დროს და ასეთს პირობებში თითქმის შეუძლებელი იყო და სამრეწველო კომიტეტების მუშაობა უმთავრესად იმით განისაზღვრებოდა, რომ კომიტეტები იძენდნენ სამხედრო უწყებისთვის საჭირო მასალას.

## დეპეშები

(„საქართველო“ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

**„კროიც ცაიტუნგი“ სწერს: კონსტიტუციის მოწინააღმდეგეს, მტერს მოსკოვის ვაჭრებისა და არა პანსლავისტს შტიურმერს არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს იმისა, რომ ომი რაც შეიძლება მალე შესწყდეს და ზავი ჩამოვარდესო.**

—

**გერმანეთის და ავსტრიის საზღვარი კვლავ დახშულ იქმნა და სახალხო მატარებლების მიმოსვლაც შეჩერდა. გერმანელებს თავიანთი ჯარი სადღაც გადაჰყავთ, არ იციან რა მხარეს და რა მიმართულებით.**

—

**„ინვალიდი“ სწერს: გერმანელთა საზღვაო მინისტრი ავადმყოფობის გამო თანამდებობიდან გადაყენებულ იქმნა.**

—

**გერმანელებმა საზღვაო ბრძოლა გააძლიერეს.**

—

**მექსიკანელების ბრძოლა შეერთებულ შტატების წინააღმდეგ, როგორც ამბობენ, გამოწვეულია გერმანელების ინტრიგით, რათა ამით ამერიკელებს გასაქანი შეუკრან და ხელ-ფეხი შეუბოჭონ.**

—

**„რუსკ. ვედომოსტი“ აქვეყნებს საგულისხმოსა და დიდად სენსაციურ ცნობას რჟევეცკის საქმის შესახებ, რომელსაც ბრალი ედება ცნობილ ილიოდორთან ერთად შეთქმულობის მოწყობის, რომ მოეკლათ ერთი უმაღლესი პირი, რომლის სახელი ხშირად იხსენიებოდა სინოდის ხარჯ-აღრ. განხილვის დროს. ამ შეთქმულობის გამოაშკარავების შინაგან საქმეთა სამინისტროში მომხდარ ცვლილებას აწერენ.**

—

**„უტრო როსსიი“ სწერს: ხივის და ბუხარის სახანოში იქაური მთავრობის მიერ რუსის ვაჭრების შევიწროება მოითხოვს, რომ ამ სახანოებს საქმე მოუთავონ და რუსეთს შემოუერთონ.**

—

**სპეციალური კომისია განიხილავს შუა-კავკასიის რკინის გზის პროექტს. სააშენებლო თანხის გადიდებას აპირებენ.**

გ. ვ.

**ბ ა თ უ მ ი.**

**დღეს ზეიმით გაიხსნა სკოლა ქორონისთავში. შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვეს სახალხო სკოლების ინსპექტორმა პეტროვმა და აგრეთვე წოდლიძემ, ე. გულიაშვილმა, ე. ციცქიშვილმა და გურიის სასწავლებლის სახელით ი. კალანდაძემ, აჭარლები სკოლის გახსნას აღტაცებით შეხვდნენ. ხვალ გაიხსნება ხუცუბანის სკოლა.**

## კაპიტალისტური სული

ხალხთა ეკონომიურ განვითარებას თუ განვიხილავთ, ნათლად დავინახავთ, რომ წარსული თუ აწმყო ორგვარ ეკონომიურ წყობილებას იცნობს. ერთი იქნება ოჯახური მეურნეობა და ეს ეკონომიური ურთიერთობა ძველად ყველა ერებს გამოუცდია. ბევრგან ის ეხლაც ბატონობს. ის ეკონომიური წყობილება კი, რომელსაც კაპიტალისტურს უწოდებენ, ევროპის ქვეყნებში წარმოიშვა 5—6 საუკუნის წინეთ; ამ ხნის განმავლობაში ის დაწინაურებულ ერთა ცხოვრებაში სავსებით გაბატონდა და ეხლა მსოფლიოს ყველა კუთხისკენ გზას იკაფავს. ეს ორი ეკონომიური ურთიერთობა, როგორიც გარეგანი სახით, ისე შინაგანი თვისებებით ერთი-მეორისგან დიდად განსხვავდებიან.

ოჯახური წარმოება მეტად ვიწრო ფარგლებით არის შემოზღუდული. თითქმის ყოველივე, ოჯახის წევრთათვის საჭირო ნივთი ოჯახშივე მზადდება. მოჰყავთ ხორბალი, ოჯახის წევრების გამოსაკვებად, კანაფი და მატყლი ტანისაცმელის მოსაქსოვ-შესაკერავად და სხ. ძველი მეოჯახე ძვირად თუ მიმართავდა „ხელოსანს“, რომელიც იქვე სადმე ახლოს, მის მეზობლად ცხოვრობდა. მას ის თავის მასალას მიუტანდა და გასამრჯელოსაც ხშირად ხორბალის, ან სხვა რაიმე ნაყოფის სახით გადაიხდიდა. ასეთივეა დიდი მემამულეების ოჯახური წყობილებაც. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ დიდებულ მეოჯახეებს დიდი ჯალაბი ჰყავთ და მათ შესაძლებლად, რასაკვირველია, დიდძალი ხორბალი და სხვა საგნები იქმნებოდა საჭირო. თუ იშვიათი რაიმე ნივთი ოჯახში არ მზადდება, ან ცუდად მზადდება, ისს „იარმუკაზე“ შეიძენდნენ, რაც განსაზღვრულ დროს და ალაგს იმართებოდა.

ამრიგად ოჯახური ეკონომიური ურთიერთობა ისეთი ხასიათისაა, რომ ის მეზობელთა შორის, თუ ხალხთა შორის თითქმის არავითარ ეკონომიურ კავშირს, თუ დამოკიდებულებას არ ბადებს. თითეული ოჯახი დამოუკიდებელ ეკონომიურ ერთეულს წარმოადგენს და სხვისი რამ მასთვის მიუცილებლ საჭიროებას არ შეადგენს. ამასთანავე მეოჯახის საქმიანობა სავსებით მის პირობებზე ექვემდებარება და ხენა-თესვა თუ ხელოსნობა სავსებით მის ნებაზე თუ სურვილებზედ არის დამყარებული. ძველი ოჯახური წარმოება ოჯახის წევრთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება და მისი გარჯა, გარჯაროება ოჯახის წევრთა გამრავლებისდა დამოკიდებული მეოჯახე იწვევ იმდენს, რამდენიც მას სჭირია და ხელოსანიც ნივთს დაამზადებს თუ ამას შეუკვეთენ.

სულ სხვა ხასიათისაა არის კაპიტალისტური ურთი-ერთობა. დაწინაურებულ ქვეყნებში, ხშირად მთელი კუთხეები ისეთს რამეს ქმნიან, რაც მათ სახმარებლად სრულიად არ გამოადგებათ. თავის ნაწარმოებს ისინი ჰყიდიან და ნაცვლად ამისა თავისთვის საჭირო ნივთებს ყიდულობს. ეხლანდელ დროში, ჩამორჩენილ ქვეყნებშიც ძვირად თუ მოიპოვება ისეთი ოჯახი, რომელსაც ძველი ეკონომიური დამოუკიდებლობა შერჩენოდეს. საჭირო ნივთების ნაწილს თუ ის ქმნის, დანარჩენს ის უთუოდ სხვისგან იძენს. თვით [illegible] წარმოების აგებულება [illegible]. წარმოება ძველებურად აღარ არის დაკავშირებული წარმოების მეპატრონესთან. ქართველ კაცს შეუძლიან ამერიკაში სამრეწველო საქმე შექმნას ისე, რომ საქართველოდან ფეხიც არ დასძრას. მას შეუძლიან ინგლისელ კაპიტალისტს შეუამხანაგდეს და მისი ავი თუ კარგი კი სრულებითაც არ იცოდეს. კაპიტალისტურ წარმოებას თავისი საკუთარი, პიროვნებისგან ხშირად დამოუკიდებელი ცხოვრება აქვს, თავისი გზა და თავისი მიზნებიც.

კაპიტალისტური წარმოება ფულით იწყება და ფულითვე თავდება. ამიტომ მიღებულია აზრი, რომ ძველი ოჯახური ურთი-ერთობის ნაცვლად ახალი კაპიტალისტური წარმოება აღმოცენდა მაშინ, როდესაც წარმოიშვა ისეთი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომლის ხელში დიდძალი ოქრო დაგროვდაო. საზოგადოებაში ფულის დაგროვება კაპიტალისტურ წარმოების წარმოსაშობად უთუოდ მიუცილებელ პირობას წარმოადგენს, მაგრამ ხშირად ერთ პიროვნებისა, თუ ჯგუფის ხელში ფულის დაგროვებას ვერ ბადებს ამ ახალ ეკონომიურ ურთიერთობას. საშუალო საუკუნოების მეფეთა თუ თავადთა ხელში, სხვა და სხვა საეკლესიო და საზოგადო დაწესებულებებში ხშირად დიდძალი ოქრო გროვდებოდა, მაგრამ უკანასკნელნი მით კაპიტალისტურ წარმოებას კი არ ქმნიდენ, არამედ ომებს, მოწყალებას თუ ცხოვრების ფუფუნებას ახმარდენ. ესენი ფულით სარგებლობდენ, მას ხარჯავდენ, მაგრამ ის სურვილი, რომ ფულის შემწეობით რაიმე წარმოება შეექმნათ მათ არ ქონდათ.

და აი სწორედ საჭირო იყო, რომ ისეთს დროს, როდესაც ზოგიერთ პირებს დიდძალი ფული დაუგროვდათ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი სული, ახალი ლტოლვა დაბადებულიყოს. ეს იყო—ეკონომიური საქმიანობის შემწეობით სიმდიდრის შეძენის სურვილი, სიმდიდრის მეოხებით ახალი სიმდიდრის მოპოების ლტოლვა.

ძველ ოჯახურ ურთიერთობის დროს კი სულ სხვა გვარი, ასე ვსთქვათ „რაინდული“ ზნეობა იყო გაბატონებული. სიმდიდრე თუ ვინმეს მიეპოვებოდა, ის უკვე ყოველგვარ ეკონომიურ გარჯისა და საქმიანობისაგან თავისუფალი იყო. ის ქონებას მხოლოდ თავის ცხოვრების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მოიხმარდა. სიმდიდრის შესაძენად საქმიანობა აბა რა საკადრისი ხელობა იყო. ეკონომიური ზრუნვა ღარიბის ხვედრს შეადგენდა და ისიც, თუ რაიმე შემთხვევით გამდიდრდებოდა, სადმე მამულს შეიძენდა და უდარდელ ცხოვრებას შეუდგებოდა.

როდის და რა მიზეზების გამო აღმოცენდა სოციალ ცხოვრებაში ეს ახალი კაპიტალისტური სული, ამის დიგება ჩვენ შორს წაგვიყვანს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სანამ ადამიანი არ გაიმსჭვალა იმ ლტოლვით, რომ ფულის შემწეობით ფულისვე მოსახვეჭათ, სიმდიდრის გასადიდებლად რაიმე ეკონომიური საქმიანობა, წარმოება შეექმნა, კაპიტალისტური ურთიერთობა ჩვენ არ გვექცა. და სხვა თვისებებთან ერთად კაპიტალისტური წყობილების ეს შინაგანი აღმძვრელი ძალა, კაპიტალისტური სული—მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა.

რომ ასეთი გამდიდრების, ოქროს კულტი საზოგადოებაში სოციარის სისწრაფით არ გავრცელებულიყოს, კაპიტალისტური წარმოება ევროპის ქვეყნებიდან ძველ მყუდრო და უსიცოცხლო ოჯახურ ურთიერთობას ასე ადვილად ვერ გამოაძევებდა. ძველად ოქრო თუ ცხოვრების ერთგვარ საშვალებას წარმოადგენდა, ახალ კაპიტალისტურ ხანაში ის თითქოს ყველასათვის მიზნად ხდება. მდიდარი თავის ქონებას უძრავად კი არ ინახავს და მისი მოხმარებით კი არ კმაყოფილდება, არამედ ის ამ სიმდიდრის საშუალებით და ეკონომიური საქმიანობით კიდევ და კიდევ ახალ ქონებას უმატებს. ეხლანდელი დროის ასეთი ზნე—დაუსრულებელი და განუსაზღვრელი ლტოლვა ქონებისადმი სავსებით შეეფერება იმ სოციალ ურთიერთობას, რომელშიდაც მოწინავე ერნი იმყოფებიან. ერთა ეკონომიური ცხოვრება ერთი მეორეზედ მეტადრე დამოკიდებული და გადაკავშირებულია. ერთი რომ მდიდრდება, იქ მეორე ხშირად ჰკარგავს და ღარიბდება. და თუ ძველ ერთა ეკონომიურ ცხოვრებაში სრული მყუდროება და სიმშვიდე იყო გამეფებული, ეხლანდელი ერნი ერთიმანეთში, და პიროვნებანი თვით ერთეულ ფარგლებ უსასრულ ეკონომიურ ბრძოლას აწარმოებენ. ზოგი მდიდრ-

დება და ძლიერდება, ზოგი კიდევ ღარიბდება და უძლურდება. ასეთს ხიფათით, ცვალებადს და ბრძოლის სულით გაჟღენთილ ურთიერთობას სავსებით შეეფერება ის კაპიტალისტური სული, რომელიც ვამეფდა მოწინავე ერთა ეკონომიურ ცხოვრებაში. ყველა ცდილობს რაც შეიძლება მეტი დოვლათი შექმნას და მიითვისოს, რომ ამით უზრუნველჰყოს თავისი აწმყო და მომავალი და ყოველგვარი, ბრძოლაზედ აგებულ ცხოვრების მიერ მოვლინებული, ეკონომიური ხიფათი, თუ გასაჭირი ქონების შემოუკლებლივ გაატაროს. ამასთანავე ასეთი ქიშპი და მეტოქეობა ადამიანთა რაც ახალ ახალ გამოგონებებში, თუ ახალი სიმდიდრეების აღმოჩენაში გამოიხატება და თანამედროვე ერნი გაცილებით მეტს დოვლათს ქმნიან ვინემ სპობენ. ასეთს პირობებში ჯერ ჯერობით კაცობრიობას არ მოელის კატასტროფა იმის გამო, რომ ბუნების ძალნი უცვლელი რჩებიან, ბუნებრივი სიმდიდრე კიდევაც მცირდება და ხალხი კი მრავლდება და მაშასადამე მეტს და მეტს საზრდოს მოითხოვს. რასაკვირველია მოწინავე ერნი ძველ უსიცოცხლო, უმოქმედო ეკონომიურ ურთიერთობას რომ დაუბრუნდენ, ისინი ძლიერ მალე დაღარიბდებიან და იქნებ მალე მათ თვით მიუცილებელ საზრდოს შემოკლების საშიშროებაც მოევლინოთ.

თანამედროვე საზოგადოების კაპიტალისტური სულით გაჟღენთვა არა მარტო ეკონომიურ ცვლილებებს ახდენს. ის ძირიანად სცვლის ხალხთა ზნე, ჩვეულებას, უფლებრივ ნორმებსაც. ის თვით კერძო ადამიანის სულიერ ცხოვრებასაც ძირიანად გარდაქმნას. ძველათ შედარებით უფრო გულუბრყვილო, უფრო გულწრფელი და მგრძნობიარე ხალხი იყო. კაპიტალისტურმა ხანამ ცივი ანგარიშის, თავის მოყვარული და გულცივი ადამიანი შექმნა. კაპიტალისტურ ეპოქაში მუდმივი ბრძოლა სწარმოებს. ბრძოლა ყოველგან და ყოველ დარგში; ხან ფარული, ხან კი აშკარა და ეხლანდელი ადამიანიც უფრო მძაფრი და სასტიკია. ჩვენ კი სრულიად უსაფუძვლოდ ვფიქრობთ, რომ ჩვენი წინაპრები ჩვენთან შედარებით მხეცები იყვნენ. უთუოდ თვით საშინელი ატილლაც შეძრწუნდებოდა ეხლანდელი ბრძოლის ველები რომ გადაევლო.

ალ. ახათიანი.

## ჯაჭვის ნაწყვეტი

(4 მარტს გამართულ ნადიმის გამო)

4 მარტი ჩვენთვის, ახალგაზრდა ქართველობისთვის ღირს შესანიშნავ დღედ ჩაითვლება, თუ გნებავთ, ისტორიულ დღედ. ამ დღეს საქართველოს ეწვივნენ ძვირფასი სტუმრები—აჭარლები! სტუმრობა მათი და ჩვენი დახვედრა მართლა იმიტომ კი არ იყო საზეიმო, რომ ჩვენებურად ქართველურად ასე რიგად გავხსენით უხვ მასპინძლის გრძნობიერი გული, არამედ იმიტომ, რომ ამ დღეს ერთხელ კიდევ იფეთქა სალმა, მიძინებულმა ეროვნულმა სულმა და მიტომაც გაშლილი სუფრა იგი ძველებური ისტორიული წესრიგის კვალობაზე გარდაიქცა **მეჯლისად**, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვსთქვათ, ჩვენს სადა ფრიად მარტივ სახის პარლამენტად. აი, ამ პარლამენტში ორი ერთმანეთისგან საუკუნოებით დაშორებული ძმა, ერთ სამშობლო კერის ჯაჭვიდან მოწყვეტალი რგოლები და სხვა და სხვა მხრით გაქანებულნი აქ შევიყარენით, აქ გადავხვიეთ ძმურად ხელი, აქ შევფიცეთ ერთმანეთს ძმობის განმტკიცება! ორთავე ვმშვენოდით ერთმანეთს, ვმშვენოდით მხურვალე სამადლობელი ცრემლებით, ვმშვენოდით როგორც საამაყო დედ-მამის შვილნი. აი ამიტომ იყო, რომ გრძნობათა შადრევანს თავის თავად მოეხსნა პირი, იფეთქა ძველებურმა სიდარბაისლემ, იფეთქა ნიჭმა ენაწყლიანობისამ და ორთავე მხარის მოფიქრებული და დინჯი სიტყვებით აღარ ვიცოდით, ვისთვის მიგვეცა უპირატესობა ისტორიულ როლების შეცვლის შემდეგ უნცროსისთვის, თუ უმფროსი ძმისთვის? ხოჯა ისკანდერ ეფენდი ცივაძე, რეჯებ-ეფენდი ნიჟარაძე, თემურ-ბეგ ხიმშიაშვილი, მაჰმედ-ბეგ აბაშიძე ერთ მხრით თუ მეორეთი მოხუცი ჭაბუკი გ. ნ. ყაზბეგი, ნ. ნიკოლაძე, მიხ. მაჩაბელი, ექ. თაყაიშვილი, გვაზავა, გრ. დიასამიძე, ი. მაჭავარიანი, სპ. კედია? რა რიგ მშვენოდნენ ყველა ერთად, რა თავმოსაწონი აზრთა გაშლა, გრძნობათა სისათუთე და სიყვარული გაისმოდა ყველა ამათგან! განა თუ უნდა გაგვიკვირდეს თუ ამ დროს გულმოკლული იცნო, ტანჯული სული გადაეხვია წამებულს სულსა?

„უზენაესის განგებით გათიშულნი ძმები კვლავ ერთად შევხვდით. და ეს უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს მომავალს ერთობას“,—ბრძნულად, ძველებური მშვენიერ ენით წარმოსთქვა ხოჯა ისკანდერ-ეფენდი ცივაძემ: „უზომო სამსახური გაგვიწიეთ თქვენ, მადლობა ათასი, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ აჭარა აღარ არის ძველი დიდების კერა, იგი დროთა უკუღმართობის გამო ჩამორჩა, ძველი ლამპარი ჩაჰქრა, წყვდიადმა მოიცვა. გსურთ, რომ დაგიბრუნდეთ, გსურთ, რომ მარტო სიტყვიერ შეერთებად არ გამოვიდეს გასაჭირში შეხვედრილი ძმები? მაშინ მოგვეცით განათლება და ოცოცდა ათი წლის შემდეგ ჩვენც დაგეწევით, არაფერში არ ჩამოგრჩებით“,—აი სიტყვები ჭაბუკის ცეცხლით აღფრთოვანებულ რეჯებ-ეფენდი ნიჟარაძისა; „როდესაც ყვავილი მოსწყდება, მიიკათ იგი გულზე, დაიჭით ხელში, ეალერსეთ, იგი იქნება ის ყვავილი, რაც რომ იყო, გასჭკნება, გაყვითლდება... აჭარა ბედმა მოსწყვიტა საუკუნოებით სამშობლოს გულს და ნუ გიკვირთ, თუ ეუცნაურებით, თუ დღეს საკმაოდ ვერ უცვნიხართ“. ასე იტყოდა ბ-ნი მაჰმედ-ბეგ-აბაშიძე. არა ნაკლებ საინტერესო სიტყვები წარმოითქვა დანარჩენ ძვირფას სტუმრებიდან, ყველანი მხოლოდ ერთ რამეში ეთანხმებოდნენ, ერთს რამეს სჩიოდნენ და ეს ერთი რამე გახლდათ ის, რომ დღევანდელ კრებას უქმად ლიტონ სიტყვების კრებად არ დარჩენილიყო, რომ ნათქვამი ხორცშესხმულ გვეყო.

აღარ შევეხები უფროს ძმათა აღფრთოვანებულ სიტყვას, მ. ვ. მაჩაბლის ხაზ გასმით ორთავ ძმის ერთი სამშობლოს აღიარებას, არც ბატონ გვაზავას პოეტურ სიტყვას, არც კედიას ჭაბუკურ აღფრთოვანებით მოქარგულ ზესაზღვრულ სიტყვას, არც ბ-ნ თაყაიშვილის დარბაისლობით გამობრძმედილ სიტყვას, არამედ წელთა გამოცდილებით დაზიდულ ჩვენი ცხოვრების ფხიზელ დარაჯს ნ. ნიკოლაძეს, რომელიც, როგორც ეს მშვენივრად დაახასიათა ბ-ნმა თაყაიშვილმა, პოეტურ გატაცებით მთვარიდან ვარსკვლავებზე კი არ მიმოჰფრინავდა, არამედ რეალ ცხოვრებას პირდაპირ თვალში შესცქეროდა და სასტიკ ანგარიშს უწევდა კიდეც. აი, აკორდი ამ ნადიმისა სწორედ ამ მოხუცმა ჭაბუკმა შეასრულა. იგი შეეხო დღევანდელ მომენტს, სხარტულად დაახასიათა ომისაგან შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია მთელი ევროპის სახელმწიფოებისა და გაგვაფრთხილა: რანაირადაც უნდა დამთავრდეს ომი, ხვალ ის აღარ იქნება, რაც დღეს. მართალია, დღეს რუსეთი ებრძვის ოსმალეთს, მაგრამ ომის შემდეგ მოუხდება მასთან კავშირის დაჭერაო. იგი შორს განსჭვრეტდა, დამსწრენი გამოგვიყვანა ვიწრო ფარგლიდან და აჭარის იქითაც გადაგვახედა—ლაზისტანისკენ! აი, რას უნდა ვეტრფოდეთ, რა უნდა გვქონდეს ამონიშნული, რომ ლაზისტანიც ჩვენი ზრუნვის საგანი შეიქმნეს, ჩვენთან შემოსაერთებლად, ეროვნულ გაძლიერებისა და განმტკიცებისთვისაო...

შეუძლებელია გრძნობათა სრული ფარდის ახდა. ნადიმი ღირსი იყო ეროვნულ გრძნობათა ზეიმისა. დღეს ჩვენი გაწყვეტილი ჯაჭვის რგოლები ისევ მოჰგორავენ, ისევ ეკინძებიან ერთმანეთთან. ჩვენი მოვალეობაა ამ გახურებულ რგოლთ ახლავე კვერი დავკრათ, არ გავაციოთ...

დ. კ—ძე.

## ზეიმი

საქართველოს დედა-ქალაქმა თავისი საყვარელი აჭარის შვილები, დიდებული სადღესასწაულო ზეიმით მიიღო. 4 მარტს ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ, ახალ-კლუბის დარბაზში გაუმართა ნადიმი; სადაც დაესწრნენ თვით აჭარლების სრული დეპუტაცია და ქართველი დამსახურებული მოღვაწენი, ყველა მიმართულების პრესის წარმომადგენელნი და რჩეული ქართველი ინტელიგენცია რიცხვით ორას კაცამდე. ნადიმის თამადად არჩეულ იქმნა ჩვენი ცნობილი მხცოვანი მოღვაწე და თავმჯდომარე წ. კ. გ. საზოგადოების გენერალი გ. ყაზბეგი. მის თანაშემწეებად გ. გვაზავა და გ. დიასამიძე.

თამადამ პირველად გრძნობიერის სიტყვით მიჰმართა აჭარელთა დეპუტაციას, როგორც წარმომადგენლებს იმ კუთხისა, რომელიც რამოდენიმე საუკუნით მოგლეჯილი იყო დედის მკერდსა, მაგრამ სულიერად და ხორციელად დღეს ისევ უბრუნდება. თამადის სიტყვას საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება.

## რუსეთ ოსმალეთის ასპარეზი




იხ. „საქ.“ № 51 ფელეტონი.

სადღეგრძელო წარმოითქვა მეფის ნაცვლის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და უქვეშევრდომილესი და მადლობის დეპეშა გაეგზავნა იმ ყურადღების გამო, რომელიც აჭარლებზე უავგუსტოესმა მოიღო.

აგრეთვე მეტად გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ მ. ვ. მაჩაბელმა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ მოვლენას, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს მუხთალ ბედის ტრიალმა ჩამოგლიჯა მისი სხეულის განუყოფელი ნაწილები: აჭარა, მესხეთი და შავშეთი, მას შემდეგ განუწყვეტელმა მწარე ბედთან ბრძოლამ საქართველო დაასუსტა და ეხლა, როდესაც მას დაკარგული მოძმენი უბრუნდებიან, ჩვენი საქართველო მათგან მოელის ეროვნულ საქმის აყვავებას და გაძლიერებას.

ამის შემდეგ წარმოითქვა მრავალი ფრიად აღტაცებული და საგულისხმო სიტყვები.

თვით აჭარელებმა ქართველურ ნადიმში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს. ყადი ისკანდერბეგ ცივაძის ტკბილ ქართულ ენით წარმოთქულმა სიტყვამ აუწერელი შთაბეჭდილება მოხდინა, მან მადლობა უძღვნა ქართველ ერს მთელის აჭარის სახელით და უსურვა ქართველ ერს და ახლად დაბრუნებულ ძმებს საერთო შეთანხმებული მუშაობა ეროვნულ ცხოვრების ასაყვავებლად.

ფრიად შინაარსიანი სიტყვები წარმოსთქვეს რეჯებ-ბეგ ნიჟარაძემ, თემურ-ბეგ ხიმშიაშვილმა და სხვებმა.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის წარმომადგენელმა სპ. კედიამ მეტად აღტაცებული და მომხიბლავი სიტყვა წარმოსთქვა. გრძნობიერის სიტყვით მიჰმართა აგრეთვე „საქართველოს“ თანამშრომელმა ნაფ. ვექ. ი. მაჭავარიანმა და საზოგადოების თხოვნით სანდრო შანშიაშვილმა აჭარლებს ექსპრომტად (უცები) ლექსი უთხრა.

ჩვენმა დამსახურებულმა ისტორიკოსმა და მკვლევარმა ექვთიმე თაყაიშვილმა დინჯი და დარბაისლური სიტყვით აღნიშნა, რომ ქართველებს გვმართებს არა მშვენიერი სიტყვების თქმა, არამედ მოქმედება. მიგვითითა ნ. ნიკოლაძეზე როგორც ისეთ დიდებულ ქართველზე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში არა სიტყვას, არამედ ეროვნულ საქმეს ემსახურება და ქართველ ერის ეკონომიურ კეთილდღეობის განმტკიცებას მთელს თავის ძალას და ღონეს ალევს.

ნიკო ნიკოლაძის ხსენებამ საერთო აღტაცება გამოიწვია, და მთელი საზოგადოება, როგორც ერთი კაცი, ვაშას ძახილით ფეხზე წამოდგა. ნ. ნიკოლაძემ მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და სთხოვა მის პიროვნებას ნაკლები ყურადღება მიაქციონ და გულისყური მიაპყრან აჭარელ მოძმეთ და იმ მეორე ნაწილს საქართველოისას, ლაზისტანს, რომელიც უთუოდ მალე იქნება შემოერთებული.

**ამის შემდეგ მრავალი მახვილი და საგულისხმო სიტყვა წარმოით**ქვა ჩვენს რჩეულ ინტელიგენტთა მიერ. ისმოდა ვაშა. და განუწყვეტელად ხან მუსიკა, ხან სიმღერა.

4 მარტს, აჭარელთა დეპუტაციამ ინახულა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე თ-დი მიხ. ვახტანგის ძე მაჩაბელი. აჭარლებმა მადლობა გადაუხადეს.

თ-დ მაჩაბელს იმ გულწრფელ მხურვალე და დაუფასებელ დახმარებისთვის, რომელსაც უწევს ქართული საქველმოქმედო საზოგადოება გაჭირვებაში მყოფ მოძმეთ. თ-დმა მაჩაბელმა მეტად მგრძნობიარე სიტყვით უპასუხა მათ და მეტის მღელვარებისგან ცრემლი მოერია.

## კავკასიის სამიტროპოლიტო

ამ სათაურით „პეტროგრადის ვედ.“ მოთავსებულია ბ. ნ. დურნოვოს წერილი იგი ამბობს: ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ახლანდელი თათბირი, რომელიც მოხდა „უმართებულეს“ კოლეგიაში. ეს კოლეგიები შემდგარია „თავისიანებით“. ჩვენ მათ ნაკლებად ვერწმუნებით, რადგან ამ „თავისიანებმა“ თავიანთ დროშას წააწერეს, არ მისცენ ნება მრევლის განახლებისა და აღორძინებისა, ყოველ ღონის ძიებას ხმარობენ სასულიერო კრება არ იქმნეს მოწვეული და ისევ ძველებურად ივერიის ეკლესიის რუსიფიკაცია (გადარუსება) განაგრძონ.

რომ სამუდამოდ მოსპონ ივერიის ეკლესიის საკითხი, მოსკოვის მიტროპოლიტის მაკარის თავმჯდომარეობით (რომელიც სრულიად არ იცნობს ივერიის ეკლესიას) შესდგა კომისია, კომისია, რომელმაც გადასწყვიტა შეჰქმნას კავკასიის საეკლესიო ოლქი, სადაც მოთავსებულ იქმნება ივერიის ეკლესიის ეპარქია და ამ რიგად სამუდამოდ ჯვარი დაუსვან ქართველ ავტოკეფალისტების კანონიერ მოთხოვნილებას, რომელ მოთხოვნასაც 1995 წლიდან ემხრობა დღევანდელი პეტროგრადის მიტროპოლიტი პიტირიმი და მისი თანამოძმე მისებრ ყოვლად პატიოსანი და მწყემსთ მთავარი ტიხონი. მაგრამ ამ ორს მწყემსთ მთავართ რა შეუძლიანთ გააკეთონ ესდენ ძლიერ სასულიერო მოხელეთა შორის და იმ ობერ-პროკურატურასთან, რომელიც მსოფლიო ეკლესიის კრების დადგენილებას ივერიის ეკლესიის შესახებ თავის ნებით სცვლის.

როგორც სჩანს, „ნოვ. ვრ.“ დეპეშებიდან, მოსკოვში მრავალი სასულიერო და საერო პირი ხელს აწერს, რათა ეს მოკლე საეკლესიო კრება მოწვეულ იქმნეს, რადგან მოთმინების ფიალა უკვე აივსო.

უკეთუ წინასწარ საეკლესიო კრებას არ ჰსურს კვლავ საეკლესიო განხეთქილება გამოიწვიოს და არც ჰსურს რაიმე ისესხოს პაპისტებისა და ლუტერანებიდან, მაშინ იგი აღადგენს კანონების წმინდა ძალას და არც ბოროტ განზრახვას გამოიჩენს უძველეს სამოციქულოსა, ღვთისმშობლის წილხვედრილსა და მრავალტანჯულ ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის მიმართ, რომელ ეკლესიასაც მთელი ქვეყანა იცნობს როგორც ქრისტესათვის მრავალტანჯულს და თავდადებულს.

ჩვენ როგორ შევიძლიან აღვადგინოთ კანონიური მართველობა ეკლესიისა, და წესწყობილება ჩვენ მიერ ნებაჩაკლულ ეკლესიაში, როდესაც ჩვენ არა თუ პატივით ვეპყრობით, არამედ გვძულს ის მრავალ-ტანჯული ეკლესია, რომლის შვილებმაც 15 საუკუნის განმავლობაში მისთვის იბრძოლეს და განწირეს თავიანთი სული.

კავკასიის მიტროპოლიის შექმნა წინასწარ თათბირზე მამა ი. ვოსტორგოვის წინადადებით იქმნა მიღებული. ეს უნდა ახსოვდეთ მიტროპოლიტებს: ვლადიმერს და მაკარის, ეს ახსოვთ აგრეთვე იმ ხანად დასჯილთა და ღირსეულთა ეპისკოპოსთ: კირიონს და ლეონიდს და აგრეთვე პიტირიმს, რომელმაც ტკბილი ხსოვნა და მოგონება დასტოვა მთელს საქართველოში, და რომლის იმედიც აქვს ამჟამად მთელს საქართველოს.

**გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო დეკანოზ კ. კეკელიძის ფრიად საგულისხმო წერილი კავკასიის სამიტროპოლიტო კათედრის დაარსების შესახებ. ვინაიდან დაჟინებით ისმის ხმები იმის შესახებ, რომ დამოუკიდებელ ივერიის ეკლესიის ერთად ერთი მომაგონებელი, საქართველოს ექზარხოსის კათედრას გაუქმებას უპირებენო, „საქართველო“-ს რედაქციამ პეტროგრადში დეპეშით თავის წარმომადგენლებს ამის შესახებ ყოველგვარი ცნობების შეკრება დაავალა და პასუხსაც ამ დღეებში მოელის.**

## ახალი ამბავი

✦ **კვირას**, 6 მარტს, „ძმურ ნუგეშში“ ქართველ ქალთა საზოგადოების მიერ მიწვეულ იქმნება ჩვენი დამსახურებული მსახიობი ქალი ელისაბედ ჩერქეზიშვილი ნიშნად პატივის ცემისა და 30 წლის სასცენო ასპარეზზე მოღვაწეობის აღნიშვნისა.

✦ **სამართალში მიცემა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ვაგონების განმანაწილებელი ა. ი. სადოვნიკოვი სამხედრო გამომძიებლის მიერ მომხდარ გამოძიების შემდეგ დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან და სამართალში მიეცა. მისცეს აგრეთვე სამართალში სადგურ რიონის უფროსი პ. ამალღობელი.

✦ **მეომართა ოჯახებს.** თბილისის საგუბერნო სამხედრო ბეგარის საკრებულომ დაუმტკიცა მომატებული დახმარება—თვეში ექვსი მანეთი და სამი ბაზი თითო ოჯახს. წინეთ იღებდენ ოთხი და ათ შაურს.

✦ **მეფის ნაცვალს** დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს წარუდგა ბაქოს ქალაქის გამგეობის დეპუტაცია. დეპუტაციაში შედიოდნენ ქალაქის მოურავი ლ. ლ. ნავთის მწარმოებელთა საბჭოს [illegible] ა. ო. გუკასოვი, [illegible] კომიტეტის თავმჯდომარე ს. ს. თაღიანოსოვი, ხმოსნები ა. ი. მანჩო, გ. ბ. ტერ-მიქელიანი და მ. შ. ასადულაევი, ფ. ფ. სკრუპინსკი და ლ. ლ. სამუელსონი.

✦ **მსხვილ ვაჭრის თავდასხმა.** 4 მარტს მიხეილის პროსპექტზე საღამოს ჟამს სოლოლაკში მოვაჭრე გასტრონომიულ მაღაზიის პატრონს პ. ი. გურგენოვს შეიარაღებული უცნობი პირნი თავს დაესხნენ და მძიმედ დასჭრეს თავში.

✦ **გარდაიცვალა** ყოფილი ხმოსანი ქალაქის საბჭოსი და მზრუნველი 1 ქალთა გიმნაზიისა ნ. ო. მირიმანოვი.

✦ **ეკკლესიების გაქურდვა** ვიღაც უცნობ ბოროტ მომქმედთ გაუქურდავთ გორის მაზრაში ბრეთისა და სალოლაშნის ეკკლესიები და წაუღიათ ტაძრის სამკაული.

✦ **სახალხო უნივერსიტეტების** გამგეობა დღეს 6 მარტს არტისტიულ საზოგადოების დარბაზში მართავს სალიტერატურო - სამუსიკო დილას თვის საშუალებათა გასაფართოვებლად.

✦ **მეფის ნაცვლის** საბჭომ ნება დართო მოიჯარადრეებს ი. ლ. ქადაგიძეს და კ. ე. ტოკარსკის ქვანახშირის მადნეულობის გამოკვლევისა სოფ. ეტში მდებარე ადგილ „ცივწყაროს“-ი შორაპნის მაზრაში.

✦ **დიდუბის ეკკლესიის** თანხიდან თბილისის ფერისცვალების მონასტერს თვის სადგომების შესაკეთებლად და გასამშვენიერებლად სესხად მიეცა 10000 მანეთი.

✦ დღეს ვაჭართა მამასახლისის გამგეობაში დანიშნულია არჩევნების წინასწარ კრება შეერთებულ ჯგუფისა.

✦ **ახხლი მომხმარებელი საზოგადოება.** თბილისში შესდგა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეების მომხმარებელი საზოგადოება. წესდება საზოგადოებისა ამ დღეებში წარედგინება გუბერნატორს დასამტკიცებლად.

✦ **ახალი ამხანაგობა.** თბილისში შესდგა ახალი წრე, რომელშიაც შედიან ქალაქის თვითმართველობის რამდენიმე მოსამსახურე, თბილისის კოოპერატივთა წარმომადგენელნი და ზოგიერთ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურენი. წრემ მიზნად დაისახა შეიძინოს ქალაქის მიდამოებში მამული და გააშენოს იქ ახალშენი—ბაღი, სადაც უნდა მოეწყოს წრის წევრთათვის იაფ ფასიანი და საღი ბინები. ამხანაგობას უკვე შეუმუშავებია წესდების პროექტი და ამ დღეებში წარუდგენს გუბერნატორს დასამტკიცებლად. ვისაც ამხანაგობაში ჩაწერა უნდა, ცნობისათვის უნდა მიმართოს ქალაქის მოსამსახურეთა კოოპერატივის გამგეობას.

✦ **საჭირო თანხის გადადება.** ხვალ, 7 მარტს, ქალაქის საბჭომ უნდა განიხილოს საკითხი შესახებ თანხის რაოდენობისა, რომელიც ქალაქმა უნდა გადაუხადოს ბელგიის უსახელო საზოგადოებას მიმდინარე წლის განმავლობაში ტრამვაის ქონებათა ღირებულობის ერთი ნაწილის დასაფარავად.

✦ **სახალხო ბიბლიოთეკა.** დღეს, 6 მარტს, საღამოს 8 საათზე, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში დანიშნულია ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა კრება, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სახალხო წიგნაკების გამოსაცემად თემები. ცალკე ბარათები არავის მიუვა, რადგან საგამომცემლო სექციამ არ იცის ბევრი მათგანის მისამართი.

✦ **ვაზის წამალი.** მოლოდინი იმისა, რომ ალავერდის სპილენძის ქარხანა შაბიამანს დაამზადებსო, არ მართლდება. შაბიამნის დასამზადებლად გოგირდის სიმჟავეა საჭირო. ქარხანას წინად იმედი ჰქონდა გოგირდის სიმჟავეს ვიშოვნიო, მაგრამ, როგორცა სჩანს, ვერ უშოვნია და მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტს შემოუთვალა, რომ თუ მიშოვით გოგირდის სიმჟავეს, საქონელს დავამზადებ, თორემ უიმისოდ პირობის შესრულება არ შემიძლიაო. კომიტეტი-კი გოგირდის სიმჟავეს ვერ იშოვის და საქმეც არ გაკეთდება.

✦ **ამომრჩეველთა კრება.** დღეს, 6 მარტს, დილის 12 საათზე, „კრუჟოკის“ დარბაზში სათათბიროდ შეიკრიბებიან მე-2 და მე-3 საპოლიციო უბნების ამომრჩევლები ეროვნების გაუნურჩევლად. კრებამ უნდა შეადგინოს ასარჩევ ხმოსანთა სია,

✦ **ქალაქთა კავშირის** კრებაზე დასასწრებლად გუშინ, 5 მარტს, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი მოსკოვს გაემგზავრა. ა. ხატისოვის წასვლის გამო მოურავის მოადგილის თანამდებობას ასრულებს გ. დ. ჟურული.

**სპარსულ გაზეთის დახურვა** ბაქოს სპარსულ გაზეთ „სადაი კავკაზ“-ის თებერვლის მესამე ნომერში დასტამბული იყო წერილი ამ სათაურით: „საბერძნეთის მეფის ჩივილი.“ ვინაიდან ეს წერილი მეფის ნაცვლის დიდ მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის შეხედულობით თვის ტენდენციური მსჯელობით ეწინააღმდეგებოდა იმ ზომებს და საშუალებებს რომელსაც რუსეთის მოკავშირენი ხმარობენ ომის დროს მეფის ნაცვლის ბრძანებით გაზეთი „სადაი კავკაზი“ დახურულ იქმნა ვიდრე ბაქოში საომარი წესები არ მოიხსნებოდეს.

**ავანსი მსხვილ მემამულეს.** ბორჩალოს მაზრის მსხვილ მემამულემ ი. ანანოვმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას მოაწოდოს ქალაქს ყველა ბოსტნეულობის ნაწარმოებნი 15 პროც. ნაკლებ ვიდრე ეს ბაზარშია და ჰყიდოს მოედნებსა და ქუჩებში. ფართე კულტურის მოსაწყობად თვის მამულში ანანოვი სთხოვს ქალაქს ავანსს. ქალაქის გამგეობა სიამოვნებით შეეგება ამ წინადადებას.

**ქალაქის მოურავი** ა. ი. ხატისოვი გუშინ გაემგზავრა მოსკოვს ქალაქთა კავშირების მეოთხე ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად.

**მეაბრეშუმეთა საზოგადოებაში.** კავკასიის მეაბრეშუმეთა საზოგადოების კრებაზე დადგენილ იქმნა აღძრან შუამდგომლობა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე გამოსცენ კანონი, რომლის ძალითაც სავალდებულო უნდა იყოს კონტროლი აბრეშუმის თესლის ვაჭრობის დროს. ამავე კრებაზე დაადგინეს პრემია გაიღონ საუკეთესო სააბრეშუმო სადგურების მოწყობისთვის.

**ქალაქის არჩევნები.** დღეს თბილისის „კრუჟოკში“ დანიშნულია კრება ეგრედ წოდებულ პროგრესიულ ჯგუფისა მეორე და მესამე საპოლიციო უბნის ამომრჩევლებისა.

თბილისის გუბერმატორმა მოიწონა ქალაქის არჩევნები მოხდეს 1 უბნისა შრომის ბირჟაში, მეორე უბნის ქალაქის საბჭოს დარბაზში, მესამესი—სახელოსნო სასწავლებელში, მეოთხესი —ავლაბარში არაქსიანულ თეატრის დარბაზში, მეხუთისა — კომერციულ სასწავლებელში, მეექვსესი—სახალხო სახლში, ხოლო მეშვიდე უბნისა—ნაძალადევში ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებელში.

**ქართული კონცერტი.** 25 მარტს. ხარებობა დღეს, სახალხო სახლში მიხეილ კავსაძის ხელმძღვანელობით გაიმართება დიდი ქართული კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ 60 კაცისაგან შემდგარნი **ქართველ მომღერალ-მგალობელთა და ქართველ მუშათა** გუნდები. კონცერტის პროგრამაში შედის ძველ ქართველ მუსიკოსების სიმღერები და აგრეთვე უცხო ტომთა რამდენიმე სიმღერაც, გადმოქართულებული ერთ დროს ბ-ნ რატილის მიერ. გუნდში მონაწილეობას ღებულობენ: ბ-ნნი ჯანდიერი (ურმული), ძმანი კავსაძენი (ტრიო), საღირაშვილი (თარი), ვ. უსტიაშვილი (ფანდური), გიგო ბეჟანიშვილი, ივ. დედანაშვილი და სხვ. აღდგომის დღესასწაულებზე გუნდის ერთი ნაწილი დასავლეთ საქართველოში აპირებს მოგზაურობას.

**მისიონერი პლატონოვი.** „ზაკ. რეჩი“ გადმოგვცემს, რომ ჩვენში ცნობილი პლატონოვი, რომელიც ამ ერთი წლის წინად შიდა რუსეთში გადაიყვანეს, უკანვე ბრუნდება წინანდელს ადგილზეო (№ 52), მისიონერის დანიშვნა სულ ერთიან სინოდის საქმეა, და საკვირველია, რომ მიტროპოლიტი პიტირიმი უკანვე აბრუნებს მისგან დაგმობილ მოღვაწეს, მის დროს თუ არ იყო პლატონოვის მოღვაწეობა ჩვენში სასურველი, დღეს რად უნდა იყოს ის სასარგებლო?

დღეს, საღამოს 8 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში, მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება. წაიკითხავენ მოხსენებებს: 1) მღვდელი პ. კარბელაშვილი თეიმურაზ ბატონიშვილის თაობაზე და 2) გ. მამრაძე ქართულ პერიოდულ გამოცემათა ბიბლიოგრაფიის თაობაზე. კრების გარეშეებსაც შეუძლიანთ დაესწრონ.

სარაყამიშში გაიცა (იჯარით) რკინის გზის გაყვანა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს შაქრო დავითის ძე ყიასოვი. მოიჯარადრეებს მთავრობისნან ნება აქვთ სამუშაოდ გაიყვანონ წითელ და ლურჯ ბილეთიანები, რომელნიც ამ წელს უნდა იქმნენ გაწვეულნი. მომუშავეთ ეძლევათ შეღავათი და სამხედრო სამსახურში არ წაიყვანენ საქმის გათავებამდე.

## ჭრა-კერვის სკოლა

ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლის საზოგადო კრება დანიშნულია დღეს. იმედია ქართველი საზოგადოება დეესწრება ამ სიმპატიურ საზოგადოების კრებას და თავისის რჩევით და თანაგრძნობით ხელს შეუწყობს იმ საქმეს, რომელიც ერთ-ერთი დემოკრატიული დაწესებულებაა ჩვენში და ჯეროვანათაც მიმდინარეობს და რომელმაც თავის მრევლში, თბილისის ღარიბ ხელოსანთა და მუშაკთა შორის, დიდი ხანია ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. ოცი წელიწადია რაც სკოლა არსებობს და ამ ხნის განმავლობაში ბევრმა, ძალიან ბევრმა ღარიბის შვილმა შეიძინა პრაქტიკული სწავლა-ხელოსნობა და უკვე საზოგადოების მხნე და პატიოსან მუშაკათაც ითვლებიან. ჭრა-კერვის სკოლის მოწაფეთ ნამყოფნი საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ხსნიან ამგვარსავე სკოლებს და ავრცელებენ გონივრულად დახელოვნეულ საქმიანობას, წელს მოსწავლეთა რიცხვი სამას აღემატება და მომეტებული მათგანი სოფლებიდგან არიან ჩამოსულნი, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ კვლავ დაუბრუნდნენ სოფელსვე დასახმარებლად.

# ვაჭრობა და მრეწველობა

ცნობილ **მრეწველ ა. ხოშტარიას** გარდა უმდიდრეს ნავთიან ადგილებისა, რომელიც მას სპარსეთის მინისტრ სეპეხდარისგან იჯარით აუღია სპარსეთში რკინის გზის კონცესია და სხ. დიდძალი მამულებიც აუღია.

—

სამინისტრომ დაადგინა მთელს იმპერიაში დამზადებულ ტყავეულების რეკვიზიციის მოხდენა. დაწესებული იქმნება ფასები ჩექმებზედ—14 მან, „ბატინკებზე“ 11 მან. და სხვ.

—

დღეს **დ. ზუგდიდში** სამეგრელოს მეურნეთა ყრილობაა დანიშნული. გამოცდილი მეურნენი მსჯელობას იქონიებენ დაფნის მოვლა-მოყვანის შესახებ.

—

**ვ. დ. ლამბაშიძემ** განჯის გუბერნიაში ს. ყარაგეზში ვერცხლის და ტყვიის მადანის კვლევა ძიების ნებართვა მიიღო.

—

**4. კარიმოვმა და ბ. ა. ზედგინიძემ** განჯის გუბერნიაში შარურას მაზრაში სპილენძის, ტყვიის და სხვა მადანთ-კვლევა-ძიებისთვის საჭირო ნებართვა მიიღეს.

—

**გეუმანე გოგიტიძემ ზუგდიდში ელექტრონის სადგურის** გახსნის ნებართვა მიიღო.

—

**ბ. ა. ზედგინიძემ** შეიძინა ყოველივე უფლებები სპილენძის და სხვა მადნების დამუშავებისა განჯის გუბერნიაში, რომელიც კოლობოვს ეკუთვნოდა.

—

**გეოლოგიურ კომიტეტს** გადაწყვეტილი აქვს გამოიკვლიოს და შეისწავლოს ის სპილენძის და ტყვიის მადნები, რომელნიც კავკასიაში მოიპოვება, რომ შემდგომ ამისა ამ მადნეულობის წარმოება მოეწყოს.

—

**ფოთის ხე-ტყის ქარხნებმა** წარმოება განაახლეს. მასალის დანაკლისს გრძნობენ და ხე-ტყის დიდ მოთხოვნილებას სავსებით ვერ აკმაყოფილებენ.

—

**ბათომში** 20,000 ფუთზედ მეტი ვაშლი და ხილი აქვთ გასატანათ დამზადებული, მაგრამ ხომალდს ვერ შოულობენ.

—

„**კავკასიის მეტალურგიული და სამრეწველო საზოგადოებას** შარშან 1.047,260 ფრანკი მოგება ჰქონია. სპილენძი დაუმუშავებიათ 51,925 ტონი (ტონი 62 ფუთია). სექტემბერში საზოგადოებას ახალი ქარხანა გაუხსნია კატარაში. ალავერდში მადნის ძიებას კარგი შედეგები ჰქონია.

—

**ბაქოში** „სურახანის“ საზოგადოების მიწაზედ ნავთის შადრევანს ამოუხეთქია. ისვრის წმინდა ნავთს 80,000 ფუთზედ მეტს დღეში.

—

**ბაქოში** მანთაშევის მიწაზედ ნავთის შადრევანს ამოუხეთქია, რომელიც დღე და ღამე 100,000 ფუთს ნავთს ისვრის.

—

**თებერვალში ბაქოში ნავთი** ამოუღიათ ნობელის ამხ. 4.994,725 ფუთი; მანთაშევის ამხ. 1.270,600 ფ., დ. ქ. ზუბალაშვილს—1.101,000 ფ., ბეკენდორფს და ამხ.—787,661 ფ. და სხ.

—

ბაქოს **ნავთის წარმოების ფასიანი ქაღალდები** ფასობს—ნობელის პაები —20,000 მან. ნობელის აქციები— 1,025 მან.; მანთაშევის—131, დიანოზოვის—136 მან.

—

**საადგილ-მამულო ბანკების გირავნობის** ქაღალდი ფასოფს თბილისის სათ.-აზნ.— 77 მან.; ქუთაისის სათ.-აზ. —69 მან.

## ბ-ნ ივ. მაჭავარიანის შენიშვნის გამო

ბ-ნ ივ. მაჭავარიანმა გაზ. „საქართველო“-ში (№ 46) მოათავსა პატარა წერილი: „ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გამოცემა“. აღნიშნულ წერილში პატივცემული ავტორი შენიშნავს, რომ руск. сл. I ნაწ. ახლად იბეჭდება სრულიად შეუცვლელად და შეუსწორებლივ, მიუხედავად იმისა, რომ წინა გამოცემა სავსეა „შეცდომებითო, და ამასთანავე მოჰყავს რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი ამ შეცდომებისა. დასასრულ ავტორი ურჩევს, ვისიც ჯერ არს, მეტის ყურადღებით მოეკიდონ განსვენებული პედაგოგის მიერ დატოვებულ ძვირფას განძს, დასტოვონ ძველი გზა ან ეს სახელმძღვანელონი შესწორებული გამოსცენ, რათა მათ ბაზარი არ დაეკარგოთ და მით წ. კ. გ. ს. შემოსავლის წყარო საგრძნობლად არ შემცირდეს.

ბ-ნი ივ. მაჭავარიანი რომ საქმესთან დაახლოვებული ყოფილიყო, თავის წერილი, შეიძლება, სრულიად არ დაებეჭდა, ვინაიდგან დარწმუნებული იქნებოდა რომ დღევანდელ პირობებში ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შესწორება ყოვლად შეუძლებელია, რაკი ეს არა სურს სასკოლო სექციის თავმჯდომარეს, ბ. ლ. ბოცვაძეს. ამ უკანასკნელის სურვილზე ყოფილა ყოველივე დამოკიდებული: მოინდომებს ბ-ნი ბოცვაძე—წიგნები შესწორდებიან, არ მოინდომებს—ვერავინ ვერას გააკეთებს, ძალიან დიდი სურვილიც რომა ჰქონდეთ.

მაშ რაღად იბეჭდება ხოლმე „განათლება“-ში წ. კ. გამგეობის სახელით განცხადებები, რომლითაც იწვევენ მასწავლებლებს და კერძო პირებს— მიაწოდონ თავისი შენიშვნები ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შესახებო? იკითხავთ თქვენ. სჩანს, ისე, უბრალოდ, გულ-უბრყვილო ადამიანების შეცდომაში შესაყვანად, რომელთა რიცხვშიაც მე მოვყევი, დავუჯერე ამ განცხადება—მოწვევას და გასულ ზაფხულში გულდასმით და დაწვრილებით გადავსინჯე Рус. слов. I ნაწილი. შენიშვნები ბლომად მოგროვდა. მეგონა, ახალ გამოცემას შეუდგებოდნენ ზაფხულში. იმ დროისთვის მინდოდა გადამეთეთრებინა ჩემი შენიშვნები (მოწაფის სამი რვეული იყო) და წარმედგინა სასკოლო სექციისათვის. ამ რამდენიმე კვირის წინათ წ. კ. ს. კანცელარიაში მოვხვდი. იქ ვნახე ბ. გ. ბურჭულაძე, რომელიც Рус. сл. კორექტურას ასწორებდა. ჩემს შენიშვნაზე, ნუ თუ შეუსწორებლად იბეჭდება წიგნი, ბ. ბურჭულაძემ მიპასუხა—კიო. მაშინ მე გადვუშალე წიგნი და ვუჩვენე რამდენიმე შეცდომა, სხვათა შორის ისინიც, რომელნიც ბ. მაჭავარიანს აქვს აღნიშნული. ჩემს შენიშვნაზე, რომ ასეთი და ბევრი სხვა შენიშვნებით სავსე სამი რვეული მაქვს თქო, ბ. ბურჭულაძემ გამოსთქვა მწუხარება, რომ რაკი ორი ფორმა უკვე დაიბეჭდა, ეხლა მაგ შენიშვნებით სარგებლობა გვიანღა არისო. რამდენიმე დღის შემდეგ მომივიდა ბ. ბურჭულაძის ბარათი შემდეგის შინაარსისა:

„ბ. ვასილ. დარწმუნებული, რომ თქვენი შენიშვნები ძლიერ სასარგებლო იქნება ჩვენთვის, უმორჩილესად გთხოვთ ამ ბარათის მომტანის ხელით მოგვაწოდოთ ის რვეული, რომელშიდაც შენიშვნები გაქვსთ შეტანილი“ და სხვ. ამ წერილის საპასუხოდ მე შევუთვალე: რაკი შენიშვნები შავათა მაქვს და მათი გამოყენება ძნელი იქნება უჩემოდ, მე თვითონ გიახლებით სასკოლო სექციის სხდომაზედ და პირადად გაგაცნობთ თქო. და მართლაც ვეახელი. პირველ ორ სხდომას თავმჯდომარე, ბ. ბოცვაძე, არ დაესწრო და მისდა დაუსწრებლივ, ბ. მიქაბერიძის თავმჯდომარეობით შევუდექით მუშაობას. გადავსწყვიტეთ გვესწორებინა მიმდინარე მასალა, მესამე ფორმიდან. თითქმის ცხრა მეათედი ჩემი შენიშვნებისა, რომელთა განხილვაც მოვასწარით, შეწყნარებულ და მიღებულ იქმნა სექციისაგან. მესამე სხდომაზე მობრძანდა თავმჯდომარეც. ბ. ბოცვაძემ დაგვიწყო რწმუნება, რომ ეხლა შეუძლებელია წიგნის რაიმე ნაირი შესწორება, გარდა კორექტურული შეცდომებისაო: ჩვენ არწმუნებდნენ, ძირითადი შესწორება არ შეგვაქვს, მხოლოდ ისეთები, რომელნიც მასალის ხასიათს სრულიად არა სცვლიან. ნუ თუ ისეთი შესწორებანი, როგორც, მაგალითად: ручка—**სახელური** კი არა, **ტარია** ქართულად, ან კიდევ იმ ადგილების შესწორება, რომელნიც რუსულის მხრივ მოიკოჭლებენ, შესაძლო არ არის ახლავე მივიღოთ, თვით წიგნის ბეჭდვის დროსაცო?

ბ. ბოცვაძე ასეთი შესწორების წინააღმდეგიც გახდა და, რათა დაწყებული საქმე შეეჩერებინა, წაგვიკითხა ი. გოგებაშვილის ანდერძის ერთი მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ ყოველგვარი შესწორება გამგეობის 3/4 მიერ დადასტურებული უნდა იყვესო. რაკი ანდერძის ამ მუხლს მხედველობაში აქვს, უეჭველია, ცოტად თუ ბევრად არსებითი შეცვლა-შესწორება, და არა წვრილმანების შესწორება, მათ შორის პირდაპირი შეცდომებისაც, სექციამ გადასწყვიტა ზემო აღნიშნული წვრილმანების შესწორება და ისე ბეჭდვა წიგნისა. თანახმად ამ გადაწყვეტილებისა, იმ კრებაზედვე განვაგრძეთ, რომელსაც ბ. ბოცვაძეც დაესწრო, გამომჟღავნდა შემდეგი დაუჯერებელი ამბავი: ბ-ნ ბოცვაძეს სექციის დაუკითხავად განკარგულება მოეხდინა (მიეწერა კორექტორ წერეთლისათვის): არამც და არამც არ გაბედო შესწორებით დაბეჭდვა წიგნისა ისე აბეჭდვინე, როგორც წინეთ იყო, აწყობილი ფორმა დაშალე და ხელმეორედ ააწყვეთო. მართლაც ყოველისფერი ძველებურ წესზე წაეყვანათ, აწყობილი ფორმები დაეშალათ და ძველებურად აეწყოთ, სადაც, მაგალითად ручка ისევ **სახელურად** გადაეკეთებინათ და სხვ. როდესაც ეს თვითნებობა ბ-ნ ბოცვაძისა გამოირკვა, ბ. ს. იაშვილმა ცხარე პროტესტი გამოაცხადა, სასკ. სექ. კოლეგიური დაწესებულებაა და თავჯდომარეს ნება არა ჰქონდა თავის უფლებით, წევრთა დაუკითხავად, გაებათილებინა სექციის გადაწყვეტილებაო. დღეის შემდეგ, პირადად მე შეუძლებლადა ვსთვლი ამ პირობებში სექციის წევრად დარჩენასო.

აქვე არ შემიძლია არ მივაქციო დაინტერესებულთა და საზოგადოთ ყველა მკითხველის ყურადღება ერთ ბ. ბოცვაძის განცხადებაზე: ყოველივე შესწორების შესახებ ცალკე მოხსენება უნდა წარადგინოთ გამგეობაშიო. ამაზე მე შევნიშნე: ორასამდის შენიშვნა მაქვს, ამაში ასი რომ მიიღოს სექციამ (რაიცა ადვილად შესაძლოა წინა მუშაობის მიხედვით), ამ ასი მოხსენების დაწერას ორ წელიწადს მოვუნდებით, ამდენივე დროს მოხსენების განხილვას „გამგეობა“ მოანდომებს, გამოდის, რომ მარტო პირველი ნაწილის შედარებით ზერელე შესწორებას მთელი წელიწადები უნდა მოვანდომოთ-თქო? მაშ როგორა გგონიათო, მიპასუხა ბ. ბოცვაძემ. აი აქ კი დავრწმუნდი, რომ თუ ბ. ბოცვაძემ მოინდომა და საქმეს ბიუროკრატიულ-ფორმალურად შეხვდა, მაშინ არავის არ ძალუძს მის ნებას წინააღუდგეს და რაიმე გააკეთოს გოგებაშვილის წიგნების სასარგებლოდ. მოინდომა ბ. ბოცვაძემ, ფორმალიზმი უკუ აგდო, და შესწორებული „დედაენის“ პირველი ნაწილი აჭარელთათვის ვგონებ ორ კვირაში გამოაცხობინა. ერთი სიტყვით, ჩემი ღრმა რწმენაა—დღეს გოგებაშვილის სახელმძღვანელოთა ბედი და იღბალი ბ-ნ ბოცვაძეზე ყოფილა დამოკიდებული და, ნუ შემრისხავენ ბ. ბ. სექციის წევრნი, მათი უმრავლესობა თურმე უბრალო სტატისტების როლსა თამაშობენ.

როდესაც მთელი სურათი ნათლათ გადიშალა ჩემს წინაშე, მეც, რასაკვირველია საჩქაროდ ამოვიდე იღლიაში ჩემი „შენიშვნები“, წამოვისხი ჩემი გუდა-ნაბადი და ფეხ-აჩქარებით გავეშურე სახლისკენ.

„გამგეობის განცხადებანი“, რომელნიც ბ. ბოცვაძის ჟურნალში იბეჭდება ხოლმე, მიტრიალებდა თავში და პასუხი ვერ მეპოვნა, ვისთვის ან რისთვის იბეჭდება ისინი? იმიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ ბ. ივ. მაჭავარიანის ფრიად საყურადღებო შენიშვნა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შესახებ კვლავ დარჩება ხმად ღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მე კი ღმერთმა დამიფაროს ამ პირობებში იქ ფეხი შემედგა, სხვისი კი რა მოგახსენოთ, სცადონ იქნებ ისინი უფრო კარგი ფეხისანი გამოდგნენ.

ვას. ჯაფარიძე.

## მაჰმადიანთა ცხოვრება

ყარსიდან ატყობინებენ გაზ. „კასპი“-ს: რწმუნებული მთელ რუსეთის ქალაქთა კავშირისა აზრუმიდან დეპეშით აცნობებს ბაქოს მაჰმადიანთა მომხმარებელ საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწეს, ალიხან კანტემირს და სთხოვს აღმოუჩინოს დახმარება აზრუმის მაჰმადიანთა მკვიდრ მცხოვრებთ, მოაშველონ ექიმები და გახსნას საზოგადოებამ სამკურნალო და მისცეს ამით შველა უმწეოთ დარჩენილ მაჰმადიანებს. კანტემირმა მიიღო თუ არა ეს სამწუხარო ცნობა დაუყოვნებლივ მიმართა თხოვნით ექ. სულთანოვს, როგორც საზოგადოების რწმუნებულს და აგრეთვე თვით საზოგადოებასაც რათა მოაწყონ საექიმო დახმარება.

იგდირიდან ატყობინებენ ამავე გაზეთ, „ბაქოს მაჰმადიანთა მომხმარებელ საზოგადოების რწმუნებულის თანაშემწე ა. ბ. პეპინოვი გაემგზავრა სურამის მხარეს გამოქცეულ მაჰმადიანების დასათვალიერებლათ. პეპინოვი ატყობინებს საზოგადოებას რომ აქ იმყოფება 30 გამოხიზნული მაჰმადიანი ბავშვები უბინადროდ. ბაიაზეთისა და დიადინის მხარეს კი 40. პეპინოვი სთხოვს ერევნის მაჰმადიანთა მომხმარებელ საზოგადოებას გახსნას თავშესაფარი უმწეოდ დარჩენილ მაჰმადიანებისათვის. საზოგადოებამ უარი განუცხადა რადგან არ მოეპოვება ხსენებულ საზოგადოებას საშუალება გახსნას ამ მოკლე ხანში თავშესაფარი.

## თეატრი და ხელოვნება

**თბილისი.**

ორშაბათს, 7 მარტს, სახალხო სახლში ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება „ოტელო“.

კვირას 13 მარტს, ახალ კლუბში სიტყა-კაზმულ საზოგადოების საბჭოს თაოსნობით გაიმართება დილა. მგოსანი სანდრო შანშიაშვილი წაიკითხავს ახალ პოემას „ბერდო ზმანია“-ს. ავტორი უჩვენებს ბუნდოვან სურათებს წაკითხულის შინაარსიდან. ბილეთები იყიდება ახალ კლუბში, ი. დ. კიკნაძის წიგნის მაღაზიაში „Новая Рѣчь“ და „ძმურ ნუგეშში“.

— დღეს 6 მარტს ნაძალადევის თეატრში ა. გოგაშვილის რეჟისორობით [illegible] იქნება „ორი და[illegible]“.

— დღეს, 6 მარტს, სახალხო სახლში სახალხო უნივერსიტეტი მართავს დანიელ ჭონქაძის დილას წარ[illegible]ით.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. | მ. 9 | 8.53 საღ. |
| „ | საფ. | „ 3 | 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. | „ 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი | „ 4 | 10.20 საღ. |
| „ | ჩქარი | „ 6 | 12.8 დღის |
| „ | სამგ. | „ 8 | 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ 4-3 | 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. | მ. 4 | 9.30 საღ. |
| „ | სამგ. | „ 10 | 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. | „ 3 | 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი | „ 5 | 7.41 საღ. |
| „ | სამგ. | „ 7 | 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. | „ 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ 4-3 | 8.8 დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე ხწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 42 „ | „ |
| იორიდან | 11 „ | 35 „ | „ |
| საგარეჯოდან | 12 „ | 17 „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ | 15 | დღის |
| მელაანიდან | 2 „ | 37 „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ | 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 58 „ | „ |
| თელავში მიდის | 5 „ | 35 „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ | 18 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 „ | „ |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ | 45 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ | 46 „ | „ |
| მელაანიდან | 12 „ | 02 „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ | 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ | 15 „ | „ |
| იორიდან | 2 „ | 53 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ | 31 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 „ | „ |
| თბილისში მიდის | 5 „ | 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 46 „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ | 16 „ | „ |

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის**
**მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია:

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“




**მხოლოდ და მარტო ლაღიძის** წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

**სუნი და გემოც საამური აქვს**

წლ.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. მეგვინეთუხუცესიშვილები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ძვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამაევის შესახვევი № 4.